Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. მარტის 20 № 7 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

27. ციტრუსოვანი კულტურების სამუშაოთა 1939 წლის საწარმოო გეგმის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

28. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოების მუშაობის გარდაქმნასთან დაკავშირებით მომქმედ დადგენილებათა შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

27. ციტრუსოვანი კულტურების სამუშაოთა 1939 წლის საწარმოო გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს ციტრუსოვანთა სანერგეების 1939 წლის სამუშაოთა შემდეგი გეგმა:

ა) ტრიფოლიატის თესვა სამყენად—3,6 ჰექტარი, აქედან საკოლმეურნეო სექტორში—3,4 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში—0,2 ჰექტარი და ცოცხალი ლობეებისათვის კოლმეურნეობებში 52,1 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში—0,9 ჰექტარი, შემდეგი განაწილებით რაიონების მიხედვით (იხ. დანართი № 1);

ბ) საძირეების გადანერგვა 1939 წლის საზაფხულო ოკულირებისათვის 4.150.000 ცალი 83 ჰექტარზე, აქედან კოლმეურნეობებში 3.600.000 ცალი 72 ჰექტარზე, საბჭოთა მეურნეობებში 550.000 ცალი 11 ჰექტარზე, შემდეგი განაწილებით რაიონებისა და სექტორების მიხედვით, თანახმად დანართისა № 1;

გ) ნერგების გადარგვა გამოსაზრდელად და ორწლიანების გამოსაყვანად—8.894.000 ცალი 222 ჰექტარზე.

2. იმ მიზნით, რომ გადიდდეს მაღალხარისხოვანი სანერგე მასალის გამოსვლა ოკულანტებისაგან (1938 წელს დამყნილი-ძანდარინი 7.500.000 ცალი, ლიმონი—1.900.000 ცალი და ფორთოხალი—550.000 ცალი), ჩატარდეს ოკულანტების საკვირტედ გასხვლა ნაცვლად საცერედ გასხვლისა, რასაც ბევრ სანერგეში მიმართავდნენ; ნერგების გაფორმება მოხდეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის მტკიცედ შესაბამისად.

3. დაწესდეს სანერგეების მოვლის სამუშაოთა შემდეგი მოცულობა და ჩატარდეს ზაფხულის პერიოდში პირველი წლის მინდვრებზე 6-ჯერ გათოხნა, სათესლე მინდვრებზე—არანაკლებ 8-ჯერ გათოხნა გამარგვლით; შაბიამანით 3-ჯერ მკურნალობა სანერგეთა ყველა მინდორზე და გოგირდის პრეპარატის 2-ჯერ შესხურება აგროწესებით გათვალისწინებული ვადების მტკიცედ შესაბამისად. სანერგეების მოვლის სამუშაოთა რაიონობრივი და სექტორალური განაწილება (იხ. დანართი № 2).

II. სანერგე მასალის განაწილების დარგში.

1. დამტკიცდეს 1939 წელს ციტრუსოვანთა გაშენების გეგმის უზრუნველსაყოფად სანერგე მასალის განაწილების გეგმა, წარმოდგენილი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ (განაწილება რაიონების, სექტორების, ორგანიზაციებისა და კულტურების მიხედვით—დანართი № 3).

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოადგილეს ამხ. ალავიძეს საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტთან და ლიმმანტრესთან ერთად ერთი დეკადის ვადაში დაადგინოს წესი, რომლის მიხედვითაც რაიონებს შეუფერხებლივ მიეცემათ ციტრუსოვანთა ნერგები სანერგეებიდან, აგრეთვე შეიმუშაოს და მიაწოდოს რაიონებს ინსტრუქცია ციტრუსოვანთა ნერგების მიღების, შეფუთვისა და გადატანის შესახებ. პასუხისმგებლობა ნერგების შეფუთვისა და გადატანის ორგანიზაციისათვის დაეკისროს კოლმეურნეობებში მიწათმოქმედების რაიონულ განყოფილებების გამგეებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში-საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს.

3. დაწესდეს, რომ პლანტაციების გაშენებისას (თანახმად საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განრიგისა) პირველ რიგში გამოყენებულ უნდა იქნას ორწლიანი ნარგავები და, კერძოდ, ლიმონის დარგვა უნდა მოხდეს მარტოოდენ ორწლიანი სტანდარტული ნერგებით; ლიმონის ორწლიანი ნერგების ნაკლებობის გამო, როგორც გამონაკლისი, ნება დაერთოს აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში 1939 წელს დასარგავად გამოიყენოს ლიმონის ერთწლიანი ნერგი 32.850 ცალი და აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა 66.600 ცალი ნერგი.

4. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას 6,5 ცალი ნერგის შენახვა 1939/40 წლის ზამთრისათვის 1940 წელს ციტრუსების გასაშენებლად, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ერთი დეკადის ვადაში დაიყვანოს ციტრუსოვანთა კულტურების რაიონებამდე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გრუნტის ფარდულების რემონტისა და მშენებლობის გეგმა; დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიონულ კომიტეტებს არა უგვიანეს 1939 წლის 15 მარტისა დაიყვანონ ფარდულების რემონტისა და მშენებლობის გეგმები კოლმეურნეობებამდე და წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა გამგეობებს გაითვალისწინონ 1939 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებში საჭირო ასიგნობანი.

III. 1939 წელს ციტრუსოვანთა გაშენებისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების გაშენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

1. დაწესდეს, რომ ციტრუსოვანთა დარგვა 1939 წლის გაზაფხულზე უნდა ჩატარდეს 15 მარტიდან 15 აპრილამდე.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მითითებათა მიუხედავად, მთელ რიგ რაიონებში გასულ წელს პლანტაციების გაშენებისას დაშვებული იყო აგროტექნიკური დარღვევები. ბევრი პლანტაციის გაშენება ისე სწარმოებდა, რომ წი-

№ 7 ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასწარ არ ხდებოდა ნიადაგის დამუშავება, მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გვერდობებზე გაშენებულ პლანტაციებზე სწორად არ იყო დაყოფილი ფართობები, მაღლა დარგვის შედეგად ადგილი აქვს ფესვთა სისტემის გაშიშვლების შემთხვევებს, აგრეთვე ხეების ფესვის ყელზე მიწის წაყრის შემთხვევებს, რაც ღრმად დარგვის შედეგია.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ციტრუსოვანთა რაიონების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტებს, ლიმმანტრესტს და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს თავისი უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ მოაქციონ 1939 წლის გაზაფხულზე ციტრუსოვანთა გაშენების მთელი მუშაობა და უზრუნველჰყოს ყოველგვარი აგროტექნიკური ღონისძიების გატარება გაშენების დროს. ამ მიზნით:

ა) დაავალონ მიწათმოქმედების რაიონულ განყოფილებების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საუბნო აგრონომებს კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობების უფროს აგრონომებს საბჭოთა მეურნეობებში—არაუგვიანეს 1939 წ. 10 მარტისა გამოჰყონ დარგვის დარგში გამოცდილ კოლმეურნეთა და მუშათა ჯგუფი და მიამაგრონ მათ განსაზღვრული ნაკვეთები ციტრუსოვანთა დასარგავად;

ბ) დარგვისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მიამაგრონ აგრონომები განსაზღვრულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობების ნაკვეთებსა და სასოფლო საბჭოებს დარგვის მთელი პერიოდისათვის, ამასთან დაევალოს მათ ციტრუსოვანთა სანიმუშო დარგვის ჩვენება კოლმეურნეებისა, ერთპიროვნული მეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის და სისტემატური კონტროლი გაუწიონ დარგვის მიმდინარეობას;

გ) მოაწყონ და ჩაატარონ 1939 წ. 5 მარტიდან 10 მარტამდე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების იმ მუშათა სამდღიანი კურსები, რომლებიც გამოყოფილი არიან ციტრუსოვანთა დასარგავად, ამასთან ამ კურსების ხელმძღვანელობა დააკისრონ კოლმეურნეობათა ხაზით-მიწათმოქმედების რაიონულ განყოფილებების გამგეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში-საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს;

დ) უზრუნველჰყონ საჭირო რაოდენობის დამწვარი ნაკელის დამზადება, ციტრუსოვანთა გაშენების ადგილებზე მიტანა და ორმოებში შეტანა, აგროწესებით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ლიმმანტრესტს და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს ციტრუსოვანთა დარგვის პერიოდში მიამაგრონ ციტრუსოვანთა რაიონებსა და საბჭოთა მეურნეობებს სპეციალისტთა ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლის გაუმჯობესების შესახებ.

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ლიმმანტრესტს, საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტრესტს, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ციტრუსოვანთა რაიონების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და სარაიონო კომიტეტებს 1939 წ. 10 მარტამდე მოაწყონ ყველა პლანტაციაზე ხეების მდგომარეობის შემოწმება, გამოარკვიონ თითოეულ პლანტაციაზე იმ ხეების ზუსტი რაოდენობა, რომლებიც მოითხოვენ დარგვის დეფექტების აღმოფხვრას, და ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციებისა და სანერგეების გაშენების მორიგი სამუშაოების ჩატარებასთან ერთად დაუყოვნებლივ შეუდგენ მიწის მოშორებას წინაწლებში ღრმად დარგული ხეების ორმოებისაგან, დაუმატონ მიწა მაღლად დარგული ხეების ორმოებს გვერდობებზე სამაგრების მოწყობით, აგრეთვე გააფართოვონ ორმოები და მოაწყონ ტერასები, ნახევარტერასები, ამასთან მათი სიგანე აიყვანონ ციტრუსოვანთა კულტურების 1938 წლის აგროწესებით გათვალისწინებულ ნორმებამდე.

2. დამტკიცდეს მცენარის ირგვლივ შემობარვისა სასუქის შეტანის ციტრუსოვანთა ნარგავების გათოხნის გეგმა სულ 8.120.000 ძირზე, აქედან საბჭოთა მეურნეობებში 1.363.300 ძირი, საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში—6.756.700 ძირი (რაიონობრივი და სექტორალური განაწილება იხ. დანართი № 4).

3. დაწესდეს ციტრუსოვანთა ნარგავების ქვეშ მინერალური სასუქის შეტანის გეგმა სახეების მიხედვით: აზოტის სასუქი—1.210 ტონა, ფოსფორის—2.940 ტონა, კალიუმის—495 ტონა, აქედან საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში-აზოტის—945 ტონა, ფოსფორის—2.520 ტონა, კალიუმის 430 ტონა. მინერალური სასუქი პირველ რიგში შეტანილ იქნას მსხმოიარე ნარგავების ქვეშ. (იხ. დანართი № 5).

4. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, ციტრუსოვანთა რაიონების რაიონულ კომიტეტებს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებსა და სამიწათმოქმედო ორგანოებს ა/წ 5 მარტამდე დაიყვანონ საგაზაფხულო და საზაფხულო სამუშაოთა გეგმები თითოეულ მეურნეობამდე და უზრუნველჰყონ: მცენარის ირგვლივ შემობარვა და ორგანიული და მინერალური სასუქის შეტანა აგროწესებით გათვალისწინებული დოზებით, ამასთან მოახდინონ თითოეული ხისათვის სასუქის შეტანის დიფერენციაცია ნარგავის მდგომარეობისა და ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით და ჩაატარონ მცენარის ირგვლივ შემობარული ადგილების 4-ჯერ გათოხნა, მწკრივებს შორის კულტივაცია სწორ ადგილებზე და ბალახების შემოთიბვა ტერასებისა და ნახევარტერასების გვერდობებზე.

5. იმის გამო, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სიდერაციულ კულტურების

ფართოდ დანერგვას, როგორც ისეთ ღონისძიებას, რომელიც ციტრუსოვანთა ნარგავებისათვის ნიადაგს ორგანიული სასუქით აუხვებს, დაწესდეს ციტრუსოვანთა პლანტაციებზე 1939 წელს შემოდგომა-ზამთრის სიდერატების თესვის გეგმა 2.608 ჰექტარის რაოდენობით, აქედან საკოლმეურნეო სექტორში—2.000 ჰექტარი (გეგმა რაიონებისა და სექტორების მიხედვით იხ. დანართი № 6).

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ციტრუსოვანთა ნარგავების მავნებლებთან და სნეულებასთან (ფარიანები, ჭიები, ვერცხლისებრი ტკიპი და სხვ.) ბრძოლის საშუალებანი და მეთოდები, რასაც გასულ წელს მიმართავდენ, სრულიად არასაკმაოა და ვერ უზრუნველჰყოფენ სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და სნეულებათა გავრცელების კერების უსწრაფეს ლიკვიდაციას.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს არაუგვიანეს 1939 წ. 10 მარტისა შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად წარმოუდგინოს კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და ციტრუსოვანთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის (განსაკუთრებით ვერცხლისებრ ტკიპასთან) ორგანიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი, ამასთან უზრუნველჰყოს 1939 წელს დაავადების კერების სრული ლიკვიდაცია, აგრეთვე შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საჭირო ტექნიკური ბაზის მოწყობას ციტრუსოვანთა მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქ. სსრ ს.კ ს-ოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1939 წ. მარტის 3. № 335.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

ბ ე ბ ო ა

საქართველოს სსრ-ში ტრიფოლიატის თესვისა სამყენად ცოცხალი ღობისათვის და ტრიფოლიატის საძირეების გადანერგვისა 1939 წლის გაზაფხულისათვის

რაიონები	ორგანიზაციის დასახელება	ტრიფოლიატის თეს.სამყ. (ჰექტარი)	ერთწლიანი საძირეების გადანერგვა (ცალი)	ტრიფოლიატის თესვა ცოცხალი ღობ. (ჰექტ.)
აჭარის ასსრ	აჭარის მიწსახკომის საბჭ. მეურნ. ტრეს.	0.1	100.000	—
	ლიმძანტრესტი	—	—	0.5
	საქ. ჩაის საბჭ. მეურნ. ტრესტი	—	55.000	—
	კოლმეურნეობები	0.1	300.000	6
	სულ:	0.2	455.000	6.5
აფხაზეთის ასსრ	საქ. ჩაის საბჭ. მეურნ. ტრესტი	—	5.000	—
	კოლმეურნეობები	1.7	900.000	10
	სულ:	1.7	905.000	10
მახარაძის	საქ. ჩაის საბჭ. მეურნ. ტრესტი	—	30.000	—
	ლიმმანტრესტი	0.1	50.000	0.4
	კოლმეურნეობები	0.1	30.000	6
	სულ:	0.2	110.000	6.4
ჩოხატაურის	კოლმეურნეობები	—	80.000	2
სამტრედიის	კოლმეურნეობები	—	100.000	0.6
აბაშის	კოლმეურნეობები	0.2	300.000	3
გეგეჭკორის	კოლმეურნეობები	—	80.000	0.5
ცხაკაიას	ლიმმახტრესტი	—	150.000	—
	კოლმეურნეობები	0.8	300 000	2.5
	სულ:	0.8	450 000	2.5
ჩხოროწყუს	კოლმეურნეობები	—	30.000	0.5
ხობის	კოლმეურნეობები	0.2	400.000	1.5
ფოთის	კოლმეურნეობები	—	400.000	1
წალენჯიხის	კოლმეურნეობები	—	80.000	3
	საქ. ჩაის საბჭ. მეურნ. ტრესტი	—	10.000	—
ზუგდიდის	ლიმმახტრესტი	—	150.000	—
	კოლმეურნეობები	0.3	600.000	5
	სულ	0.3	760.000	5
ლანჩხუთის	კოლმეურნეობები	—	—	3
წულუკიძის	კოლმეურნეობები	—	—	2
ვანის	კოლმეურნეობები	—	—	0.5
ტყიბულ-ს	კოლმეურნეობები	—	—	1.5
ჭიათურის	კოლმეურნეობები	—	—	0.5
ჩხარის	კოლმეურნეობები	—	—	0.5
	სულ საქართველოს სსრ-ში	2.6	4.150.000	53
	მათ რიცხვში: საბჭ. მეურნეობები	0.2	550.000	0.9
	კოლმეურნეობები	3.4	3.600.000	52.1

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

ბ ე ბ მ ა

საქართველოს სსრ ში ციტრუსების სანერგეების მოვლის ღონისძიებებისა 1939 წლისათვის (თოხნისა, გამარგვლისა და მკურნალობის ფართობები)

რაიონები, სექტორები და ორგანიზაციები	ტრიფოლიატის სათესი მინდორი	I წლის მინდორი	II წლის მინდორი	III წლის მინდორი		სანერგეების მთელი ფართობი	გარდა ამისა ცოცხალი ტრიბ. ფოლ. თეს. ფართ.
				ფართობი ჰექტ	გამოსაზრდ. ნერგ. რაოდ. ათას ცალ.		
I. კოლმეურნეობები							
აჭარის ასსრ	0.1	6	29.2	42.2	1676.6	77.5	6
აფხაზეთის ასსრ	1.7	18	36.6	23.2	926.6	79.5	10
მახარაძის რაიონი	0.1	0.6	16.3	20	811.1	37	6
ლანჩხუთის	—	—	28.9	15	587.2	43 9	3
ჩოხატაურის	—	1 6	1	0.3	13.1	2.9	2
სამტრედიის	—	2	—	—	—	2	9.6
აბაშის	0 2	6	11.5	0 1	4.7	17.8	3
ცხაკაიას	0.8	6	29.5	3 3	132.0	39.6	2.5
გეგეჭკორის	—	1.6	7.5	—	—	9.1	0.5
ჩხოროწყუს	—	0.6	1.5	—	—	2 1	3
ხობის	0.2	8	13.5	0.2	7.0	21.9	1.5
ფოთის	—	8	12.4	1.5	59.2	21.9	1
წალენჯიხის	—	1.6	8.7	0.2	9 4	10 5	3
ზუგდიდის	0.3	12	27.2	9	359.5	48.5	5
წულუკიძის	—	—	—	—	—	—	2
ვანის	—	—	—	—	—	—	0 5
ტყიბულის	—	—	—	—	—	—	1 5
ჭიათურის	—	—	—	—	—	—	0.5
ჩხარის	—	—	—	—	—	—	0.5
სულ კოლმეურნეობებში	3.4	72	223.8	115	4586.4	414.2	52.1
II. ლიმმანტრესტი	0.1	7	41.5	47	1897.0	95.6	0.9
III. საქ. ჩაის საბჭ. მეურნ. ტრესტი	—	2	9	14	566.8	25	—
IV. აჭარის მიწსახკომის საბჭ. მეურნ.	0.1	2	13.6	22	878.5	37 7	—
V. მთავკვებქიმმრეწვი	—	—	22	19	763.7	41	—
VI. აფხაზეთის მიწსახკომის საბჭ მეურნ.	—	—	3	2.5	100.0	5.5	—
VII საქკონსერვხილტრესტი	—	—	5.5	2.5	101.6	8	—
VIII სხვადასხვა ორგანიზაციები	—	—	1.6	—	—	1.6	—
სულ საქართველოს სსრ-ში	3.6	83	320	222	8894.0	628.6	53

მუხ. 27
ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 4

გ ე გ მ ა

საქართველოს სსრ-ში ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლის ღონისძიებებისა 1939 წლისათვის. (მცენარის ირგვლივ შემობარვა, ორგანიული სასუქის შეტანა და გათოხნა).

რაიონები, სექტორები და ორგანიზაციები	დასამუშავებელი ფართობი ჰექტ.	ნარგავების რაოდენობა ათას ძირებში
I. საკოლმეურნეო — გლეხური სექტორი		
აჭარის ასსრ	2524.6	1885.1
აფხაზეთის ასსრ	1772.9	1628.7
მახარაძის	1032.0	888.1
ლანჩხუთის	850.8	720.3
ჩოხატაურის	56.0	52.7
სამტრედიის	95.2	93.8
წულუკიძის	2.8	1.7
ვანის	1.0	1.0
აბაშის	63.0	61.7
ცხაკაიას	234.8	222.4
გეგეჭკორის	56.?	54.4
ჩხოროწყუს	116.6	110.6
ხობის	149.4	135.4
ფოთის	345.1	272.0
წალენჯიხის	65.0	61.2
ზუგდიდის	652.5	567.6
სულ საკოლმეურნეო—გლეხურ სექტორში	8017.9	6756.7
II. ლიმმანტრესტი	608.8	314.0
III. საქ. ჩაის საბჭ. მეურნ. ტრესტი	386.3	287.0
IV. აჭარის მიწსახკომის საბჭ. მეურნ. ტრესტი	428.5	254.1
V. მთავკვებქიმმრეწვი	273.0	157.1
VI. საქკოხსერვხილტრესტი	84.2	53.5
VII. აფხაზეთის მიწსახკომის საბჭ. მეურნეობები	102.5	42.4
VIII. სხვა საბჭ. მეურნეობები და ორგანიზაციები	148.6	[illegible]25.2
სულ საქართველოს სსრ-ში	10049.8	8120.0

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი № 5

ბ ე ბ მ ა

მინერალური სასუქის შეტანისა (რაიონების მიხედვით)

რ ა ი ო ნ ე ბ ი		აზოტის სასუქი	ფოსფორის სასუქი	კალიუმის სასუქი
აჭარის ასსრ	კოლმეურ ნეობა	510	963	154
	საბჭ. მეურ ნეობა	185	318	65
აფხაზეთის ასსრ	კოლმეურნეობა	117	470	83
	საბჭ. ეეურნეობა	50	66	—
მახარაძის რაიონი . . .	კოლმეურნეობა	100	314	54
	საბჭ. მეურნეობა	30	36	—
ჩოხატაურის . . .	კოლმეურნ ობა	3	16	3
ლანჩხუთის	კოლმეურნეობა	84	276	49
სამტრედიის	კოლმეურნეობა	32	56	10
ცხაკაიას	კოლმეურნეობა		69	10
გეგეჭკორის	კოლმეურნეობა	5	15	3
ზუგდიდის . . .	კოლმეურნეობა	34	154	28
წალენჯიხის . .	კოლმეურნეობა	7	20	3
ჩხოროწყუს	კოლმეურნეობა	1	29	6
ხობის	კოლმეურნეობა	16	34	6
აბაშის	კოლმეურნეობა	13	15	3
ფოთის	კოლმეურნ ეობა	23	89	16
სულ . . .		1210	2940	495
აქედან:	კოლმეურნეობანი	945	2520	430
	საბჭ. მეურნეობანი	265	420	65

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 6

ბ ე ბ ო ა

საქართველოს სსრ-ში ციტრუსოვანთა პლანტაციებზე სიდერატების თესვისა 1939 წლისათვის (ჰექტარობით)

რაიონები, სექტორები და ორგანიზაციები	სულ სიდერატების თესვის ფართობი	მათ რიცხვში		
		ლიუპინი	სერადელა	ცერცვი
I. საკოლმეურნეო—გლეხური სექტორი				
ბათუმის	370	30	340	—
ქობულეთის	600	60	540	—
სულ აჭარის ასსრ-ში	970	90	880	—
სუხუმის	250	15	235	—
გაგრის	100	—	100	—
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	350	15	335	—
მახარაძის	230	20	210	—
ლანჩხუთის	195	20	175	—
ჩოხატაურის	8	8	—	—
აბაშის	6	—	6	—
ცხაკაიას	36	8	28	—
გეგეჭკორის	6	6	—	—
ჩხოროწყუს	12	6	6	—
ზუგდიდის	20	10	10	—
ფოთის	74	—	74	—
წალენჯიხის	7	7	—	—
ხუგდიდის	86	10	76	—
სულ საკოლმეურნეო—გლეხურ სექტორში	2000	200	1800	—
II. ლიმმანტრესტი	608	176	414	19

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

28. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოების მუშაობის გარდაქმნასთან დაკავშირებით მომქმედ დადგენილებათა შეცვლის შესახებ.

შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 25 იანვრის დადგენილებისა „საქართველოს სსრ წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთავრის საზოგადოების მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებათა შესახებ", (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 3, მუხ. 12) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი ქვემოთაღნიშნულ დადგენილებებში:

ა) დებულებაში წითელი ჯვრის საქართველოს საზოგადოების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. 30 სექტემბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 66; 1928 წ. № 9, მუხ. 71; 1931 წ. № 15, მუხ. 180):

მუხლები 10 და 11 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„10. საზოგადოების სახსრები შესდგება:

ა) საწევრო შენატანებისაგან,

ბ) იმ ასიგნობებისაგან, რომლებსაც სახელმწიფო გაიღებს მასობრივ სანიტარული მუშაობისათვის".

„11. საზოგადოების მიერ საწევრო შენატანებისაკან მიღებული მთელი სახსრები გადადის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში".

2). საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 3 აპრილის დადგენილებაში „ადგილობრივი გადასახადებისა და გაძღოლების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 6, მუხ. 71; № 10, მუხ. 113; № 18, მუხ. 195, 196 და 197; № 21, მუხ. 223; 1932 წ. № 13, მუხ. 99; № 13, მუხ. 108; № 21, მუხ. 202; № 23, მუხ. 226; 1933 წ. № 10, მუხ. 141; № 12, მუხ. 163; № 18, მუხ. 254; 1934 წ. № 12, მუხ. 121; 1935 წ. № 10, მუხ. 57; № 16, მუხ. 111; 1936 წ. № 1, მუხ. 7; № 5, მუხ. 34; № 8, მუხ. 59; № 12, მუხ. 75; № 13, მუხ. 78; № 14, მუხ. 84; № 20, მუხ. 118; № 27, მუხ. 164; 1937 წ. № 10, მუხ. 68; № 21, მუხ. 157; 1938 წ. № 9, მუხ. 38):

ა) მუხ. 23 „ვ" პუნქტში ამოიშალოს სიტყვები: „და სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან".

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს მუხლები 25 და 30.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 11 მაისის დადგენილება „სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების სასარგებლოდ კინოთეატრების ადგილოვრივი გადასახადიდან ანარიცხების გადადების დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 16, მუხ. 112).

ბ) საქართველოს სსრ კომისართა საბჭოს 1936 წლის 10 მარტის დადგენილება „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ მედიკამენტებით ვაჭრობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 8, მუხ. 60).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.
საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. მარტის 4. № 318.
თ'ილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
4
РУСТ 33,35
Б,КЕ ИМЭЛ
1 1 12 СВ ГР 3
Тифлисский ... Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „კომუნისტის", პოლიგრაფიული კომბინატი, ლენინის ქ. № 28.

მთავლ. რწმ. № კ—433 შეკვ. № 578 ტირაჟი 2000